



სილაბუსი

კურსის დასახელება:	თვისებრივი კვლევის მეთოდები
--------------------	-----------------------------

კურსის ხანგრძლივობა:	20 საათი
----------------------	----------

შესავალი

თვისებრივი კვლევა არამათემატიკური, არა-ექსპერიმენტული კვლევის ტექნიკებია. ის მოიცავს სხვადასხვა მიდგომას და კვლევის მეთოდებს. კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან სწორედ ასეთ ტექნიკებს და შეექმნებათ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება თვისებრივი კვლევა. კურსის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა განსხვავებას თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევებს შორის; მონაწილეები გაეცნობიან ისეთ მეთოდებს როგორებიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია.

კურსის მიზნები

კურსი მიზნად ისახავს, მონაწილეებმა მიიღონ:

1. საბაზისო ცოდნა თვისებრივი მეთოდების შესახებ
2. საკვლევი საკითხის მიხედვით მეთოდოლოგიის განსაზღვრის უნარები
3. პრაქტიკული უნარები თვისებრივი კვლევის დასაგეგმად და შესასრულებლად

სწავლების მეთოდები

კურსი მოიცავს როგორც ლექციებს თვისებრივი მეთოდების შესახებ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებსაც (ჯგუფურსაც და ინდივიდუალურსაც), რომლის ფარგლებშიც, მონაწილეებს შეეძლებათ პრაქტიკულად განახორციელონ კვლევის გარკვეული საფეხურები.

კურსის შედეგები

კურსის გავლის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა:

1. აირჩონ სასურველი მეთოდოლოგია და მოარგონ ის საკვლევ საკითხს
2. მოახდინონ თვისებრივი კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია



კურსის შინაარსი

N	თემა	საათები	სულ
I	<p>1. შესავალი ლექცია კვლევის მეთოდებში</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციალური კვლევის არსი • საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება • საკვლევი კითხვების განსაზღვრა • მიზნების და ამოცანების განსაზღვრა • ინდუქციური და დედუქციური კვლევები • თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები 	1	5
	<p>2. სავარჯიშო მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად, მოიფიქრებენ საკვლევ პრობლემას. თითოეულ ჯგუფში იმუშავენ საკვლევი პრობლემისთვის შესაბამისი საკვლევი კითხვების, მიზნების და ამოცანების ფორმულირებაზე. ჯგუფები მიზნებს შეუსაბამებენ კვლევის თვისებრივ ან რაოდენობრივ სტრატეგიას</p>	1	
	<p>საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად მიეცემათ წინასწარ განსაზღვრული საკვლევი საკითხის გარშემო ინდივიდუალური კვლევის პროექტის შემუშავება: საკვლევი კითხვების, მიზნების, ამოცანების და კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა</p>	3	
II	<p>3. თვისებრივი კვლევის სტრატეგია და მეთოდები ეს ნაწილი ითვალისწინებს თვისებრივი კვლევების ძირითადი მახასიათებლების შესწავლას, მისი ისტორიული კონტექსტის მიმოხილვას. ასევე, საკვლევი პრობლემის დასმას, კითხვების ფორმულირების სპეციფიკას თვისებრივ კვლევებში და კონცეპტუალიზაციის მნიშვნელობას. თვისებრივი კვლევები გარკვეული მეთოდების ერთობლიობაა. ხშირად გამოყენებული მეთოდებია, მაგალითად, ფოკუს ჯგუფის მეთოდი, ეთნოგრაფია, დისკურსის ანალიზი. თუმცა მათ შორის, ყველაზე ხშირად ინტერვიუს ტექნიკა გამოიყენება. აღნიშნული ნაწილი სწორედ ინტერვიუს მახასიათებლებზე გააკეთებს აქცენტს.</p>	1	5
	<p>4. სავარჯიშო მონაწილეები დაიყოფიან იმავე ჯგუფებად, რომელ ჯგუფებშიც იმუშავენ პირველ ლექციაზე. უკვე შემუშავებულ საკვლევ პრობლემას მოარგებენ თვისებრივი კვლევის რომელიმე მეთოდს. ამის შემდეგ, იმსჯელებენ მეთოდის არჩევის მიზეზზე, მის უპირატესობებზე და ნაკლოვანებებზე საკვლევ საკითხთან მიმართებით.</p>	1	
	<p>საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად მიეცემათ წინა კვირას დაწერილი ინდივიდუალური კვლევის პროექტს დაამატონ მეთოდის სექცია და</p>	3	



N	თემა	საათები	სულ
	ისაუბრონ არჩეული მეთოდის უპირატესობებზე და ნაკლოვანებებზე საკვლევ საკითხთან მიმართებით.		
III	5. მონაწილეთა შერჩევა თვისებრივი კვლევისთვის აღნიშნული ნაწილი ითვალისწინებს შერჩევის სახეობების აღწერას თვისებრივი კვლევისთვის და კონკრეტული მაგალითების განხილვას.	1	5
	6. სავარჯიშო მონაწილეები დაიყოფიან იმავე ჯგუფებად, რომელ ჯგუფებშიც იმუშავებს წინა ლექციებზე. პირველ რიგში, მოახდენენ სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირებას საკუთარი პროექტისთვის, შეიმუშვებენ შერჩევის ჩარჩოს და კრიტერიუმებს.	1	
	საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად მიეცემათ ინდივიდუალური კვლევის პროექტის ფარგლებში შეიმუშაონ შერჩევის ჩარჩო.	3	
IV	7. თვისებრივი კვლევების ინსტრუმენტი ინტერვიუს ჩასატარებლად საჭიროა კითხვების ნუსხა. თუმცა ინტერვიუ არსებობს როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი. როგორ განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან? ეს ნაწილი მიმოიხილავს ინტერვიუს გეგმის (გზამკვლევის) შექმნის ტექნიკას.	1	5
	8. სავარჯიშო მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად და შეიმუშავებენ ინტერვიუს გეგმას (გაიდლაინს) იმ კვლევის პროექტებისთვის, რომლებიც შეიმუშავებს წინა ლექციებზე.	1	
	საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად მიეცემათ ინდივიდუალური კვლევის პროექტის ფარგლებში შეიმუშაონ ინტერვიუს გეგმა (გაიდლაინი).	3	
V	9. ჩაღრმავებული ინტერვიუ აღნიშნული ნაწილი დაეთმობა ინტერვიუს ტექნიკის განხილვას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია სოციალურ მეცნიერებებში.	1	5
	10. სავარჯიშო მონაწილეები ჩაატარებენ მოკლე ინტერვიუებს იმ გაიდლაინზე დაყრდნობით, რომელიც შეიმუშავებს წინა ლექციაზე.	1	
	საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად ექნებათ რამდენიმე ინტერვიუს ჩატარება.	3	
VI	11. ფოკუს ჯგუფის მეთოდი ფოკუს ჯგუფის მეთოდი შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს, დააკვირდეს მსჯელობის კოლექტიურ პროცესს, იმას, თუ როგორ ხდება ინტერაქცია ჯგუფში განსახილველი თემის გარშემო. საუბარი იქნება არა მხოლოდ ამ მეთოდის უპირატესობებზე და	1	2



N	თემა	საათები	სულ
	შეზღუდვებზე, არამედ მისი გამოყენების პრაქტიულ ასპექტებზეც.		
VII	<p>12. სავარჯიშო რამდენიმე მონაწილე იქნება ფოკუს ჯგუფის მოდერატორი.</p> <p>13. თვისებრივი კვლევები და ეთიკა ეთიკური სტანდარტების დაცვა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტიპის კვლევისთვის. ამ შემთხვევაში, განხილული იქნება თვისებრივი კვლევების ჩატარების ეთიკური სტანდარტები, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფების დროს მკვლევარის და/ან ინტერვიუერის ეთიკურობაზე.</p> <p>14. მონაცემთა გაშიფრვა და კოდირება იმისთვის, რათა მოხდეს მონაცემების ანალიზი, საჭიროა ინტერვიუებისა და დისკუსიების გაშიფრვა, ხოლო ამის შემდეგ, მათი კოდირება. ამ ნაწილში განხილული იქნება კოდირების მაგალითები.</p>	1	5
	<p>საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად ექნებათ ჩატარებული ინტერვიუს გაშიფრვა და კოდირება</p>	3	
VIII	<p>15. მონაცემთა ანალიზი: თემატური ანალიზი თვისებრივი მონაცემების ანალიზის ბევრი მეთოდი არსებობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია თემატური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კოდირებული მასალის თემებად და სუბთემებად დაჯგუფებას.</p> <p>16. სავარჯიშო მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად და მოახდენენ მონაცემების თემატურ ანალიზს</p>	1	5
	<p>17. საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად მიეცემათ გაშიფრული და კოდირებული მასალის თემატური ანალიზი</p>	3	
IX	<p>18. სავარჯიშო ინდივიდუალური მუშაობა: მონაცემთა თემატური ანალიზისთვის მონაწილეებს მიეცემათ რამდენიმე ინტერვიუ</p>	1	
X	<p>19. სავარჯიშო მონაწილეები მოახდენენ ზოგიერთი შედეგის საპრეზენტაციო ფაილის აგებას</p>	1	5
	<p>20. საშინაო დავალება მონაწილეებს დავალებად მიეცემათ საპრეზენტაციო ფაილის დიზაინი</p>	3	
	ჯამი		42